პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 30 ივლისი, 1943 წ. № 160 (6785). ფასი 20 კაპ.

საკოლმეურნეო სოფელში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ახალი წარმატებებისათვის

„პრავდის“ მოწინავე—29 ივლისი

ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სსრ კავშირის ყველა ხალხის ომია. ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად გაჩაღებული სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ნათლად მოწმობს სამამულო ომის საყოველთაო-სახალხო ხასიათს. შეჯიბრება, რომელიც ჯერ კიდევ ომის პირველ წელს დაიწყო, ჩვენი ხალხის ყველა ფენას მოედო და გადაიქცა ფრონტისა და ქვეყნის ყოველივე იმით მომარაგების მძლავრ იარაღად, რაც მტერზე გამარჯვებისათვის არის საჭირო.

წითელი არმიისადმი მძლავრ საყოველთაო-სახალხო დახმარებაში საპატიო როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა არმია. საყვარელი ბელადისა და მხედართმთავრის, დიდი სტალინის მოწოდებას—უზრუნველყოფილი წითელი არმია და მოსახლეობა სურსათით, ხოლო მრეწველობა—ნედლეულითო, კოლმეურნე გლეხობამ უპასუხა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით მინდვრების მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის და მანქანა-ტრაქტორთა პარკის მაღალხარისხოვანად გამოყენებისათვის.

მოწინავე ოლქებისა და რესპუბლიკების მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა შესანიშნავი შედეგები მოგვცა საკოლმეურნეო სოფელში გაჩაღებულმა პატრიოტულმა მოძრაობამ. მოსკოვისა და კალინინის ოლქებმა, აზერბაიჯანის, რესპუბლიკამ, გორკის ოლქმა, ჩუვაშეთის ასსრ რესპუბლიკამ გასულ წელს შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მიღწეული წარმატებებისათვის თითოეულ მათგანს სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა.

მთავრობის მიერ მოწინავეთა მიღწევების მაღალმა შეფასებამ სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობა გამოიწვია საკოლმეურნეო სოფელში. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღებისას შეჯიბრებაში გამარჯვებულებმა ამხანაგ სტალინს შეჰფიცეს, რომ 1943 წელს კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევდნენ ხუთი მოსავლისათვის, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის და მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. გამარჯვებულთა ფიცი სოფლის მეურნეობაში გაჩაღებული შეჯიბრების ყველა მონაწილეთა ფიცი იყო.

დღეს „პრავდა“ აქვეყნებს კოლმეურნეობებისა და მტს-ების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1943 წლის წინასწარ შედეგებს. მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ გადიდდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წითელი დროშის მიღების კანდიდატთა რიცხვი, გადიდდა მათი მიღწევები. შეჯიბრების პირობების შესაბამისად თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წითელი დროშის მიღების კანდიდატებად ცნობილნი არიან: ივანოვოს, მოსკოვის, ვოლოგდის, იაროსლავლისა და გორკის ოლქები, ტაჯიკეთის სსრ, ორბანგელსკის ოლქი, ბურიატ-მონღოლეთისა და ჩუვაშეთის ასსრ და კალინინის ოლქი, ყველა მათგანს საუკეთესო შედეგები აქვს საქონლის სულადობის ზრდის მხრივ და წარმატებით დაამთავრეს საგაზაფხულო თესვა. აღნიშნულია აზერბაიჯანისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკებისა და რიაზანის ოლქის კარგი მუშაობა საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების მხრივ.

მტს-ების საუკეთესო მუშაობისათვის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წითელი დროშის მიღების კანდიდატებად ცნობილნი არიან: მოსკოვისა, სმოლენსკისა და ლენინგრადის ოლქები, ბრიანსკის, ტავიკეთისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკები, ორბანგელსკისა და გორკის ოლქები, საქართველოს, სომხეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკები, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს მტს-ების მიერ სატრაქტორო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის შესრულებაში. ყველა ამ ოლქმა და რესპუბლიკამ წარმატებით დაამთავრა აგრეთვე საგაზაფხულო თესვა. სატრაქტორო სამუშაოთა ჩატარებაში სერიოზული წარმატებები აქვთ ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ის, კომის ასსრ-ის, სტავროპოლის მხარის, ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკების მტს-ებს.

ცნობას სოფლის მეურნეობაში გაჩაღებული სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წინასწარი შედეგების შესახებ უდიდესი კმაყოფილებით შეხვდება საბჭოთა ხალხი. ეს შედეგები მოწმობენ, რომ კოლმეურნე გლეხობას მაღალ უჭირავს ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად გაჩაღებული შეჯიბრების დროშა. ფრონტის მებრძოლნი, სამხედრო ქარხნების მუშები, საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურენი, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მთელი მოსახლეობა შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ იგი შემდგომაც საკმაო რაოდენობით მიიღებს საჭირო სურსათს, ხოლო მრეწველობა—ნედლეულს.

ომმა დიდი ცვლილებები შეიტანა საბჭოთა სოფლის ცხოვრებაში, გაადიდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის სიმნელენი. მაგრამ ომს არ შეუძლია ჩვენი სოფლის მეურნეობის სიმძლავრე. ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად გაჩაღებულ შეჯიბრებაში წინანდ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ებიც კი უდიდეს წარმატებებს აღწევენ თავიანთ განვითარებაში, განუწყვეტლივ აფართოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას. აი, მაგალითად, ტამბოვის ოლქი. ომიანობის დროის სიძნელეთა მიუხედავად, იგი დაჟინებით ახდენს ჩამორჩენილ ლიკვიდაციას სოფლის მეურნეობაში და თავის ამოცანად დასახა—უკვე მიმდინარე წელს მიაღწიოს რუსეთის ფედერაციის მოწინავე ოლქების დონეს.

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნებული იყო პენზის ოლქის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების წერილი ამხანაგ სტალინისადმი. ცნობილია, რომ პენზის ოლქის სოფლის მეურნეობაც ჩამორჩებოდა მთელი რიგი წლების განმავლობაში. კოლმეურნე კაცებსა და ქალებს, ოლქის სასოფლო მეურნეობის არც ერთ მუშაკს აღარა სურთ შეურიგდნენ ჩამორჩენას. ამხანაგ სტალინისადმი მიმართულ წერილში ისინი პარტიისა და მთავრობის დახმარებისა და ზრუნვის პასუხად გვპირდებიან უმოკლეს ვადაში ჩადგნენ რუსეთის სფს რესპუბლიკის მოწინავე ოლქების რიცხვში.

ოლქის ყველა კოლმეურნისა და კოლმეურნე ქალის სახელით პენზის კოლმეურნეობათა თავმჯდომარენი აცხადებენ, რომ მათ ახლა თავიანთ მთავარ ამოცანად მიაჩნიათ მოსავლის აღების სანიმუშოდ მოწყობა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა ვადამდე შესრულება. ამ განცხადებას ეხმაურება მოსავლის კომბაინით აღების ოსტატებისა და ტრაქტორისტების—ჩკალოვის ოლქის მოწინავეების გუშინ გამოქვეყნებული მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა კომბაინერისა და ტრაქტორისტისადმი.

ჩკალოველები გამოდიან წინადადებით—მოეწყოს სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის აღებაზე კომბაინების საუკეთესო გამოყენებისათვის. აიღონ თავთავიანი კულტურები 18-20 დღეში, აიღონ სეზონში თითო კომბაინ „სტალინეცით“ არანაკლებ 700 ჰექტარისა, ხოლო კომბაინ „კომუნარით“ არანაკლებ 500 ჰექტარისა—ასეთია შეჯიბრების წამომწყებთა ვალდებულება. უეჭველია, ჩკალოველთა პატრიოტულ თაოსნობას საყოველთაო მოწონებით შეხვდებიან საკოლმეურნეო სოფელში და მიჰბაძავენ ყველა კომბაინერები და ტრაქტორისტები, ჩვენი სამშობლოს ყველა კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები.

პარტიამ და მთავრობამ ზუსტი და ნათელი მითითებები მოგვცეს მოსავლის აღებისა და დამზადებათა მოწყობის შესახებ. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „1943 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლოსამეურნეო პროდუქტების დამზადებათა შესახებ“ სოციალისტური შეჯიბრების ყველა მონაწილეს, ყველა კოლმეურნე კაცსა და ქალს, ტრაქტორისტსა და კომბაინერს იაიარაღებს ფრონტისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერებისათვის ბრძოლის საბრძოლო პროგრამით.

სოფლის მეურნეობაში გაჩაღებული შეჯიბრების წინასწარი შედეგები და ჩკალოველ კომბაინერთა და ტრაქტორისტთა მიმართვა იმ მომენტში ქვეყნდება, როცა საკოლმეურნეო სოფელში უდიდესი აღფრთოვანებაა, გამოწვეული უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანებით. ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ბრძანების პასუხად კოლმეურნე კაცები და ქალები, კომბაინერები და ტრაქტორისტები კისრულობენ დამატებითს ვალდებულებებს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა წარმატებით ჩატარებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების დარგში.

შეჯიბრების მხრივ მოწინავე ოლქების მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ, საბჭოთა და სამეწარმეო-მეურნეობრივ მუშაკებს, მტს-ებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს კანონიერი საფუძველი აქვთ იამაყონ მიღწეული წარმატებებით. მაგრამ, რა დიდიც უნდა იყოს წარმატებანი, ისინი უდარდელობისა და თვითდამშვიდებულობის უფლებას არ იძლევიან. შეჯიბრებაში საბოლოოდ ის გაიმარჯვებს, ვინც სხვებზე უკეთესად დაამთავრებს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს, პატიოსნად შეასრულებს თავის ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ ახლა შეჯიბრებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა იმას ნიშნავს, რომ დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და მტს-ებს, რათა მათ გაანაწილონ მუშახელი და წარმოების საშუალებანი, სწორად მოაწყონ შრომა კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, დაეხმარონ თითოეულ კოლმეურნესა და კოლმეურნე ქალს, ტრაქტორისტსა და ტრაქტორისტს ქალს, კომბაინერსა და კომბაინერ ქალს, რათა დღითი-დღე მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ ნორმა, მოგვარონ მოწინავეთა გამოცდილების გადაცემა და უზრუნველყონ თითოეული დღის მუშაობის შედეგთა საქვეყნოდ გამოტანა.

შეჯიბრებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა იმას ნიშნავს, რომ შენი მზედელობის არეში მუდმივად გყავდეს არა მარტო მოწინავენი, არამედ „საშუალოებიც“ და შეჯიბრებაში ჩამორჩენილნიც. მოწინავე ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებშიც კი არიან სერიოზულად ჩამორჩენილი რაიონები, მტს-ები და კოლმეურნეობანი. რა თქმა უნდა, ეს პატიჟს არა სდებს არა მარტო ჩამორჩენილი რაიონების ხელმძღვანელებს, არამედ საოლქო ორგანიზაციებსაც, რომლებიც ურიგდებიან ამა თუ იმ რაიონის ჩამორჩენის ფაქტს. „სოციალისტური შეჯიბრება ამბობს: ერთნი მუშაობენ ცუდად, მეორენი—კარგად, მესამენი—უკეთესად,—დაეწიე უკეთესებს და მიაღწიე საერთო აღმავლობას“. (სტალინი).

გერმანელთა ზაფხულის შემოტევის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის—ამხანაგ სტალინის ბრძანებამ კოლმეურნეგლეხობა აღფრთოვანა ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. დიადი პატრიოტული აღტაცებით მოცული საკოლმეურნეო სოფელი კიდევ უფრო მაღლა ასწევს სოციალისტური შეჯიბრების დროშას და ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას ფრონტისა და სამშობლოს წინაშე.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები რკინიგზის კვანძებზე ორიოლსა და ბრიანსკზე და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე

27 ივლისს ღამით ჩვენი ავიაცია თავს დასხა რკინიგზის კვანძებს ორიოლს, ბრიანსკს და მოწინააღმდეგის აეროდრომებს.

ორიოლისა და ბრიანსკის რკინიგზის კვანძებზე ძლიერი დაბომბვა განიცადეს მტრის სამხედრო ეშელონებმა. დამტვრეული და დამწვარია ბევრი ვაგონი. ჩვენი თვითმფრინავების ეკიპაჟებმა შეამჩნიეს რამდენიმე ძლიერი აფეთქება.

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა აგრეთვე მტრის აეროდრომები, სადაც ფეიქრებული იყო გერმანელთა ბომბდამშენი 100 ბომბები სდებდნენ თვითმფრინავთა განლაგებაში, აღნიშნულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა ანგარებსა და სხვა სააეროდრომო ნაგებობებს.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების წესის შესახებ

1. დაწესდეს წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა დაყოფა:
რიგითის შემადგენლობად;
სერჟანტთა შემადგენლობად;
ოფიცერთა შემადგენლობად;
გენერლებად;

2. რიგითი შემადგენლობისათვის ეფრეიტორის სამხედრო წოდების მინიჭება. სწარმოებდეს ცალკეული ნაწილების, მეთაურთა და დაწესებულებათა უფროსების ბრძანებებით.

3. სერჟანტთა შემადგენლობისათვის, უმცროსი სერჟანტის, სერჟანტის, უფროსი სერჟანტისა და ზემდეგის სამხედრო წოდებათა მინიჭება სწარმოებდეს კოროპუსების, დივიზიების, ბრიგადების მეთაურთა და მათთანაბართა ბრძანებებით.

4. პირველად საოფიცრო წოდებად წითელ არმიაში დაწესდეს უმცროსი ლეიტენანტის წოდება.

5. უმცროსი ლეიტენანტის პირველადი საოფიცრო წოდება ენიჭებოდეთ:
ა) სერჟანტთა შემადგენლობის პირებს, აგრეთვე რიგითი შემადგენლობის პირებს ბრძოლაში, მეთაურობის უნარის გამოჩენისათვის—ფრონტების სარდალთა ბრძანებებით და განსაკუთრებულ შემთხვევებში არმიების სარდალთა ბრძანებებით;
ბ) იმ პირებს, რომლებმაც დაამთავრეს უმცროს ლეიტენანტთა მოკლევადიანი კურსები—ფრონტების, არმიებისა და სამხედრო ოლქების სარდალთა ბრძანებებით;
გ) კურსანტებს, რომლებმაც დაამთავრეს საქვეითო, სატყვიამფრქვევო და სასროლ-სანაღმტყორცნო სამხედრო სასწავლებლები—წითელი არმიის კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებებით და წითელი არმიის ჯარების გვარეობათა შესაბამისი სარდლების (უფროსების), წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის ბრძანებებით.

6. ყველა შემდგომი საოფიცრო წოდების მინიჭება სწარმოებდეს:
უფროს ლეიტენანტამდე ჩათვლით—არმიების სარდალთა ბრძანებებით.
მაიორამდე ჩათვლით—ფრონტების სარდალთა ბრძანებებით.
პოდპოლკოვნიკამდე ჩათვლით — წითელი არმიის კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის, წითელი არმიის ჯარების გვარეობათა სარდლების (უფროსების), წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის და წითელი არმიის ზურგის უფროსის ბრძანებებით.

7. ეს ბრძანებულება გავრცელდეს წითელი არმიის ყველა გვარეობის ჯარებსა და სამსახურებზე.

8. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულება იმ უფროსთა შემადგენლობისა და წითელარმიელებისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ, რომელთაც თავი გამოიჩინეს სამშობლოსათვის ბრძოლებში, — გაუქმდეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 24 ივლისი.

კოლმეურნეობებისა და მტს-ების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

სსრ კავშირის მინათმოქმედებების სახალხო კომისარიატში

წინასწარი შედეგები

უხვი მოსავლისათვის და საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის გაჩაღებული სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისა

სსრ კავშირის მიწსახკომმა, განიხილა რა უხვი მოსავლისათვის გაჩაღებული სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წინასწარი შედეგები ოლქებისა, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით, შეჯიბრების პირობების შესაბამისად თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად ცნო შემდეგი ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმა:

1. კოსტროვის ოლქი.
2. მოსკოვის ოლქი.
3. კალინინის ოლქი.
4. ყირგიზეთის სსრ.
5. იაროსლავლის ოლქი.
6. ივანოვოს ოლქი.
7. გორკის ოლქი.
8. სტავროპოლის მხარე.
9. უზბეკეთის სსრ.
10. საქართველოს სსრ.
11. ტულის ოლქი.
12. ჩუვაშეთის ასსრ.
13. ყაზახეთის სსრ.
14. ორიოლის ოლქი.

ამ ოლქებს, მხარეებსა და რესპუბლიკებს აქვთ აგრეთვე კარგი შედეგები საყოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მხრივ.

სსრ კავშირის მიწსახკომმა აღნიშნა საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარება შემდეგ ოლქებსა და რესპუბლიკებში: არხანგელსკის, ვოროშილოვგრადის, ირკუტსკის, სმოლენსკის, ლენინგრადისა და ხარკოვის ოლქებში, ყაბარდო-ბალყარეთის, კომისა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკებში.

სსრ კავშირის მიწსახკომმა, განიხილა რა საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის გაჩაღებული სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წინასწარი შედეგები, შეჯიბრების პირობების შესაბამისად თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად ცნო შემდეგი ოლქები და რესპუბლიკები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმა:

1. ივანოვოს ოლქი.
2. მოსკოვის ოლქი.
3. ვოლოგდის ოლქი.
4. იაროსლავლის ოლქი.
5. გორკის ოლქი.
6. ტაჯიკეთის სსრ.
7. არხანგელსკის ოლქი.
8. ბურიატ-მონღოლეთის ასსრ.
9. ჩუვაშეთის ასსრ.
10. კალინინის ოლქი.

ამ ოლქებმა და რესპუბლიკებმა წარმატებით დაამთავრეს აგრეთვე საგაზაფხულო თესვა.

სსრ კავშირის მიწსახკომმა აღნიშნა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის, ყაზახეთის სს რესპუბლიკისა და რიაზანის ოლქის კარგი მუშაობა საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების მხრივ.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის მინსახკომში

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის მიწსახკომმა, განიხილეს რა მტს-ების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წინასწარი შედეგები (საგაზაფხულო თესვის შედეგების მიხედვით), შეჯიბრების პირობების შესაბამისად თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად სცნეს შემდეგი ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები, რომლებმაც მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ სატრაქტორო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის შესრულების საუკეთესო მაჩვენებლები მოგვცეს:

1. მოსკოვის ოლქი.
2. სმოლენსკის ოლქი.
3. ლენინგრადის ოლქი.
4. პრიმორიეს მხარე.
5. ტაჯიკეთის სსრ.
6. თურქმენეთის სსრ.
7. არხანგელსკის ოლქი.
8. გორკის ოლქი.
9. საქართველოს სსრ.
10. სომხეთის სსრ.
11. ყირგიზეთის სსრ.

ამ ოლქებმა, მხარეებმა და რესპუბლიკებმა წარმატებით ჩაატარეს აგრეთვე გაზაფხულის კულტურების თესვა.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის მიწსახკომმა აღნიშნეს, რომ სატრაქტორო მუშაობა წარმატებით ჩაატარეს ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ის, კომის ასსრ-ის, სტავროპოლის მხარის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის და ჩუვაშეთის ასსრ-ის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვის, გენერალ-პოლკოვნიკ ი. ს. კონევის, გენერალ-ლეიტენანტ ნ. ა. ბულგანინისა და საინტენდანტო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტ ი. ს. ხოხლოვის დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

სუვოროვის I ხარისხის ორდენით

საბჭოთა კავშირის მარშალი გიორგი კონსტანტინეს-ძე ჟუკოვი.

კუტუზოვის I ხარისხის ორდენით

გენერალ-პოლკოვნიკი ივანე სტეფანეს-ძე კონევი.

წითელი დროშის ორდენით

გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით

საინტენდანტო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი ივანე სერგეს-ძე ხოხლოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 28 ივლისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ წოდების დაწესების შესახებ

დაამტკიცოს საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 25 აპრილის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების პირველ მუხლს პუნქტი „ზ“ შემდეგი შინაარსისა:

„ზ) საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის წოდება მიენიჭებათ სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების განვითარების დარგში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 28 ივლისი. ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ფიზკულტურის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზკულტურის მე-5 სრულიად-საკავშირო დღის აღსანიშნავად ფიზკულტურისა და სპორტის დარგში სანიმუშო მუშაობისათვის დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით შემდეგი მუშაკები:

1. ბესტაევი ნუშა მიხეილის-ასული
2. ფეგელაშვილი თამარ დიმიტრის-ასული
3. გოლოვნია ლევ ვასილის-ძე
4. გორგაძე მიხეილ ანთიმოზის-ძე
5. დუმბაძე ნინო იაკობის-ასული
6. ეფსატაშვილი გიორგი სიმონის-ძე
7. ზამბახიძე ანდრია გიორგის-ძე
8. თაყაიშვილი ნიკოლოზ ირაკლის-ძე
9. კიზირია ისაკ დიმიტრის-ძე
10. მამაგეიშვილი გრიგოლ იაკობის-ძე
11. მეიფარიანი ნიკოლოზ გიორგის-ძე
12. მარღანიძე პეტრე გიორგის-ძე
13. ყვანია აკაკი ტარასის-ძე
14. ყვანია მიხეილ ათანასეს-ძე
15. სამუშია დიმიტრი მაქსიმეს-ძე
16. სხირტლაძე თეოდორე ავთანდილის-ძე
17. ფაჩიკია გრიგოლ ალექსის-ძე
18. ხერგიანი ბეკნუ ბესარიონის-ძე
19. ხერგიანი გაბრიელ გიორგის-ძე
20. ხოშტარია გრიგოლ სიმონის-ძე
21. ჯაფარიძე მურზაყან გრამიტონის-ძე
22. ჯაფარიძე ალექსანდრა ბიჭიას-ასული
23. ჯაფარიძე ალექსანდრე ბიჭიას-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 29 ივლისი. ქ. თბილისი.

გეგმის შესრულება

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა თავიანთი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა 28 ივლისისათვის 100 პროცენტით შეასრულეს. გაცხოველებით მიმდინარეობს ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. 28 ივლისისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 7.230 ცენტნერი მოსავალი.

კოლმეურნეები დიდი ენტუზიაზმით მუშაობენ თამბაქოს შეტეხვაზე და ჩაბარებაზე.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი ციხისთავი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯაშიაშვილი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

29 ივლისის ოპერაციული ცნობა

29 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ორიოლის მიმართულებით შეტევას განაგრძობდნენ, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 5-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

ბელგოროდის მიმართულებით და დონბასში მზვერავთა ფაქტიერება.

ლენინგრადის ფრონტზე გრძელდებოდა მზვერავთა ძალიერ ცეცხლად მოქმედება.

28 ივლისის განმავლობაში ყველა ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 38 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და ზენიტელ არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 63 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ.

ორიოლის ჩრდილოეთით საბჭოთა ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. გერმანელთა სარდლობას კვლავ გადმოჰყავს ამ უბანზე ჯარები სხვა ფრონტებიდან და რეზერვები. კერძოდ, აღნიშნულია, რომ სამარშო ბატალიონები ჩამოვიდნენ საფრანგეთიდან და გერმანიიდან. ნ საკავალერიო ნაწილის მებრძოლებმა სწრაფი იერიშით განდევნეს გერმანელები სამი ძლიერ გამაგრებული პუნქტიდან და მძიმე ზარალი მიაყენეს მათ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 600-მდე გვამი და მოწინააღმდეგის მიერ დაყრილი დიდძალი საჭურველი. სხვა უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის პოლკმა, 30 ტანკის დახმარებით, ორჯერ სცადა იერიში მოეტანა ჩვენს ნაწილებზე. გაფფთრებული ბრძოლის შედეგად დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 10 ტანკი და მოსპობილია ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი.

ორიოლის აღმოსავლეთით ჩვენმა ნაწილებმა გერმანელთა ქვეითი ჯარის რამდენიმე გაფფთრებული კონტრიერიში მოიგერიეს და ძძიმე ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალის მხრივ.

ორიოლის სამხრეთით 6 შენაერთის ნაწილები წინ მიიწევდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მოწინააღმდეგე წყლის ზღუდეს ეფარებოდა და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. საბჭოთა მებრძოლები მდინარეზე გადავიდნენ და გერმანელთა დასაყრდენი პუნქტი დაიკავეს. ამ უბანზე წარმოებულ ბრძოლებში მოსპობილია სულ ცოტა 400 ჰიტლერელი, ხელთ ვიგდეთ სამარი მასალის 16 საწყობი და სხვა დაფლა. წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ და 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაეალიტეს. დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 8 ტანკი, მოსპობილია 42 ავტომანქანა, 5 საარტილერიო და 8 სანაღმტყორცნო ბატარია.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით აქტიურად მოქმედებდნენ მზვერავთა ჯგუფები. გვარდიის უფროს ლეიტენანტ პროხოროვის ქვეგანაყოფმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე, რომელიც გამაგრებული იყო ერთ დასახლებულ პუნქტში. მზვერავთა თავდასხმა ჰიტლერელებს დიდი ძალების იერიშად მოეჩვენთ და აქეთ-იქით გაქცევა იწყეს. ჩვენმა მზვერავებმა 60 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაეალიტეს და ამასობაში მისული ქვეითი ჯარის დახმარებით დაიკავეს დასახლებული პუნქტი. სხვა უბანზე ასეულმა, რომლის მეთაურიც არის ლეიტენანტი ტმოშენკო, მოწინააღმდეგის 3 კონტრიერიში მოიგერია. გერმანელებმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს და უკან დაიხიეს. ბრძოლის ველზე აკრეფილია ჰიტლერელების მიერ დაყრილი რამდენიმე ტყვიამფრქვევი და ბევრი აფტომატი.

* * *

სამხრეთში, დონბასში, მზვერავები მოქმედებდნენ. წითელარმიელი ამხ. კომოლეი ქვის სამტეხლოსთან მიიპარა და გრანატებით მოსპო მტრის ტყვიამფრქვევი, რომელიც ჩვენს ქვეგანაყოფებს უშენდა. ქვის სამტეხლოში მყოფი რამდენიმე

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 ივლისის ოპერაციული ცნობა

28 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ორიოლის მიმართულებით განაგრძობდნენ შეტევას, წინ წაიწიეს 4-დან 6 კილომეტრამდე და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათს რიცხვში რკინიგზის სადგური სტანოვოი კოლოდეზი (18 კილომეტრზე ორიოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით).

ბელგოროდის მიმართულებით, დონბასში და კრასნოდარის სამხრეთ-დასავლეთით მზვერავები მოქმედებდნენ.

ლენინგრადის ფრონტზე სწარმოებდა მზვერავთა გაძლიერებული მოქმედება და საარტილერიო სროლა ორივე მხრივ.

27 ივლისის განმავლობაში ყველა ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 32 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 62 თვითმფრინავი.

✻ ✻ ✻

ორიოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას.

ორიოლის ჩრდილოეთით საბჭოთა ჯარებმა გერმანელები განდევნეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. მტერს ავტომანქანებით სასწრაფოდ მოჰყავს რეზერვები, დაუყოვნებლივ გამოჰყავს ისინი ბრძოლაში და ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს საბჭოთა შემტევ ნაწილებს. ბოლხოვის რაიონში 6 ნაწილმა მტერს ფლანგზე დაარტყა და აქ მოქმედ მტრის ჯარებს გარშემორტყმის საფრთხე შეუქმნა. გერმანელებმა სასწრაფოდ დაიხიეს უკან, ამასთან დიდი ზარალი მოუვიდათ ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ.

ორიოლის აღმოსავლეთით ჩვენმა შემტევმა ჯარებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. გერმანელებმა ამ უბანზე გადმოიყვანეს სატანკო პოლკი და კონტრიერიში მოიტანეს. საბჭოთა მებრძოლებმა მტერი უკუაგდეს. დაედევნენ მას და დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. ამ ბრძოლებში, არასრული ცნობებით, მოსპობილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 11 ტანკი და 5 ქვემეხი. წამოღებულია 2 ქვემეხი, 100-ზე მეტი ტყვიამფრქვევი და სხვა დაკლა.

ორიოლის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. 6 შეიარაღებულ მიტრალიერა მტრის 4 კონტრიერიში და განდევნა გერმანელები მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. ბრძოლის ველზე დათვლილია მტრის 1.500-მდე გვამი. დაზიანებული და დაშავარა გერმანელთა 18 ტანკი, მათს რიცხვში „ვეფხვის“ ტიპის 3 ტანკი, 4 თვითმავალი ქვემეხი და 4 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი. შენაერთის მებრძოლებმა ხელთ იგდეს მტრის 15 ქვემეხი, 18 ნაღმსატყორცნი, 3 საარტილერიო და 2 სანავთო საწყობი. წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე ქვეგანაყოფი კაპიტან კუზნეცოვის მეთაურობით ეფროს ლეიტენანტ ირკოვის ქვეგანაყოფთან თანამოქმედებით დიდ სოფელში შეიჭრა. სოფლის დამცველ გერმანელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა შემტევი საბჭოთა მებრძოლების რიცხვს. მაგრამ მტერმა ვერ გაუძლო ჩვენი ქვეგანაყოფის სწრაფ დარტყმას. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს მრავალი ჰიტლერელი და გაათავისუფლეს ეს სოფელი გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან.

• • •

ბელგოროდის მიმართულებით აქტიურად მოქმედებდნენ მზვერავები. მსროლელი ასეული ეფრონ ლეიტენანტ დავიდოვის მეთაურობით სწრაფი ნახტომით შეიჭრა მტრის სანგრებში. გაფთრებულ ხელჩართულ ბრძოლებში ჩვენმა მებრძოლებმა გასწყვიტეს რამდენიმე ათეული ჰიტლერელი, დანარჩენები კი გაიქცეს. ხელთ ვიგდეთ 5 ტყვიამფრქვევი და სხვა დაკლა. ასეულმა გამაგრდა ახალ ხლუდზე.

• • •

სამხრეთში, დონბასში, ჩვენმა ქვეგანაყოფმა დაზვერვის მიზნით იერიში მიიტანა გერმანელებზე და ორი მაღლობი დაიკავა. ამ მაღლობებისათვის ბრძოლაში მოსპობილია გერმანელთა 3 ტანკი და მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 7 თვითმფრინავი და დაზიანეს 3 თვითმფრინავი. გარდა ამისა მტრის 8 თვითმფრინავი მოსპობილია საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

• • •

ლენინგრადის ფრონტზე. მკას ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში, საბჭოთა არტილერისტებმა დაანგრიეს გერმანელთა ათობით ძელმიწური საცეცხლე წერტი და ჩაახშეს მტრის 63 საცეცხლე წერტი. ყუმბარების პირდაპირი მოხვედრით აფეთქებულია სამი მასალის 5 საწყობი.

საჰაერო ბრძოლებში ლენინგრადის მიმადგომებზე საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 6 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მტრის 3 თვითმფრინავი მოსპობილია საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

• • •

ეიტომირის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 20 ივლისს საფარი მოაწყო გზატკეცილზე. როდესაც გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონა ჩასავრების ადგილს მიუახლოვდა, პარტიზანებმა ტყვიამფრქვევის სროლა ასტეხეს და ჰიტლერელებს ხელის გრანატები დააყარეს. გერმანელები თავზარდაცემულნი გაიფანტნენ და გზაზე დასტოვეს 80-ზე მეტი თავიანთი მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი. როდესაც ოლქში მოჭრედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა სამი დღის განმავლობაში ნაღმებზე ააფეთქა გერმანელთა 6 სამხედრო ეშელონი, რომლებიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდნენ.

• • •

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 216-ე ქვეითთა დივიზიის 396-ე პოლკის მე-6 ბატალიონის მეთაურმა დიტრიხ გერლახმა განაცხადა. „ბევრი ჩვენგანი მოუთმენლად და იოდიდთ ელოდა გაზაფხულსა და ზაფხულს. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ როგორც კი ამინდი დადგებოდა გერმანელთა შეიარაღებული ძალები აღმოსავლეთისაკენ გაეკაბიჯებოდნენ და რუსებს უკანასკნელ დარტყმას აგემებდნენ. მაგრამ კურსკზე გერმანიის არმიის შეტევის დასაწყისიდანვე ყველაფერი ისე წავიდა, როგორც ჩვენ არ მოველოდით. 216-ე დივიზიამ ვერ შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანა. ჩემი ასეული რუსთა სანგრებში შეიჭრა. მაგრამ შემდეგ ძლიერი ცეცხლი გახდა წინანდელ ხლუდზე დაბრა და პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი დაჰკარგა. ასეთმა მარცხიანმა დასაწყისმა ამოიოცა. ვერ გამეგო, რაში იყო საქმე. ჩვენ ძალთა აშკარა უპირატესობა გვქონდა რიცხვობრივად. ჩვენ საუკეთესოდ მოვემზადეთ ოპერაციისათვის და თითქოს ყოველი წვრილმანი გავითვალისწინეთ. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაგვანახვა, რომ გერმანიის სარდლობის ზაფხულის გეგმებმა აღმოსავლეთში სრული კრახი განიცადა. ეურსკთან გერმანიის ჯარების დამარცხება მძიმე შედეგებს გამოიწვევს გერმანიისათვის“.

• • •

წითელი არმიის ნაწილების მიერ განთავისუფლებულ ორიოლის ოლქის მუშათა დბა ტულიანსკის მცხოვრებლებმა მ. სპირიდონოვმა და პ. მაკაროჩკინმა გვიამბეს გერმანელ ფაშისტ არამზადათა საშინელი მხეცობის შესახებ. ჰიტლერელებმა პირველივდან გადარცვეს მუშათა დაბის ყველა მცხოვრენი. ფაშისტმა ურჯულებმა სიკვდილით დასჯეს ბევრი სრულიად უდანაშაულო ადამიანი, ისინი აუპატიურებდნენ ქალებს. გერმანელმა ჯალათებმა ჩამოახრჩეს 10-11 წლის სმი ბიჭი: კოლესნიკოვი, ეფრემოვი და ოსოკინი იმისათვის, რომ მათ თითქოს ერთი შეეკერა პაპიროსი მოჰპარეს გერმანელ ოფიცერს. ჰიტლერელებმა სახრჩობელა ბავშვთა მშობლების სახლების წინ დასდგეს. ფაშისტი კაციჭამიები სამი დღის განმავლობაში ნებას არ აძლევდნენ გვამები ჩამოეხსნათ სახრჩობელებიდან.

ზრაქჭორისჭებო და კომბაინერებო!

გამოღვით სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოსავლის აღებისათვის!

ჩქალოვის ოლქის კომბაინით აღების ოსტატებისა და მოწინავე ტრაქტორისტების მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა კომბაინერისა და ტრაქტორისტისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შევხვდით ჩვენ ცნობას გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ ჩვენი მამაცი წითელი არმიის შეტევის შესახებ.

საგმირო საქმეები ჩვენი ძმებისა—ფრონტელებისა, რომლებიც თავიანთ სისხლსა და თვით სიცოცხლესაც არ „შურებენ“ საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში, მოგვიწოდებენ ყველა ჩვენ, ზურგის მუშაკებს, თავდადებული შრომითი დავეხმაროთ წითელ არმიას უფრო მალე გაანადგუროს მძვინვარე მტერი და გახდევნოს იგი ჩვენი სამშობლო საზღვრებიდან.

შორსაა ფრონტიდან ურალისპირა ველები. მაგრამ ღრმა ზურგშიც ყოველი ჩვენგანი ვალდებულია იყოს მებრძოლი, სამეულველ დამპყრობლებთან დიდი ისტორიული ბრძოლის მონაწილე. ვინაიდან ფრონტი და „ზურგი ჩვენში ერთიანია. ჩვენ გვაკისრია მოვალეობა სავსებით უზრუნველყოთ ჩვენი მეომრები პურით, ხორცით, ბოსტნეულით და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებით, რომლებიც ფრონტს ისევე ესაჭიროება, როგორც საომარი მასალები.

წლევანდელ გაზაფხულზე ჩვენი მტს-ები—პოგრომისა, ლუქსემბურგისა, ვილიამსის, სალელობისა, ბუზულუკისა და სხვები—დაეხმარნენ კოლმეურნეობებს შეთანხმებულად და სწრაფად ჩაეტარებინათ თესვა. გულმოდგინედ და სიყვარულით არის დამუშავებული და დათესილი ყოველი მტკაველი მიწა. მრრუნველობანი მოვლით კოლმეურნეებმა ნათესები გასწმინდეს სარეველებისაგან.

ამხანაგი სტალინი ამბობდა: „მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას არ უყვარს დაცდა. დროზე აიღე მოსავალს—მოიგებ, დაგვიანებენ აღებას—წააგებ“.

განსაკუთრებით დიდია მოსავლის აღებაში კომბაინის როლი. „კომბაინის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი დახმარებას გვიწევს დროზე ავიღოთ მოსავალი... მისი მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვიცავს უდიდესი დანაკარგებისაგან“ (სტალინი).

თუ კომბაინი წინათაც უბადლო მანქანად ითვლებოდა, ომის დღეებში იგი მით უფრო საჭირო გახდა. კომბაინს შეუძლია გააკეთოს ის, რასაც სხვა საშუალებით მოსავლის აღებისას ასობით ადამიანი დასჭირდებოდა. იგი ათავისუფლებს ათობით ცხენსა და ხარს.

ამ გახურებული აღლობის დროს კოლმეურნეები და სახელმწიფო ჩვენზე დიდ იმედებს ამყარებენ და ჩვენზე—კომბაინერებსა და ტრაქტორისტებზე. ჩვენს ეანარი სავსებით ნაყოფიერად გამოვიყენოთ კომბაინები და ტრაქტორები. დამოკიდებულია მოსავლის ბედი. კომბაინზე ჩვენი შეწყობილი და ძარაგვე მუშაობა დარტყმა იქნება მტრის წინააღმდეგ.

მძლავრ ტექნიკას თავისი საქმის ოსტატთა ხელში შეუძლია სასწაულები მოაგიროს. სასახელოდ ამუშავეს ჩვენმა საუკეთესო კომბაინერებმა გასულ წელს. კომბაინით აღების ოსტატმა ი. პ. ვარაკინმა ბოლშევიტსკის მტს-იდან ორი გადაბმული „სტალინეცით“ აიღო 3.467 ჰექტარი და გასწია 4.654 კილოგრამი სწავლის ეკონომია. კომბაინით აღების ოსტატმა ი. ს. კოშევოიმ სოლ-ილეცკის მტს-იდან, რომელიც ავრეთვე ორი გადაბმული „სტალინეცით“ მუშაობდა, 3.000 ჰექტარი აიღო და დაზოგა 2.300 კილოგრამი ნავთპროდუქტები. კომბაინერი ძმების ვასილიევების ავრეგატმა „ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის“ მტს-იდან 3.205 ჰექტარი აიღო და 2.000 კილოგრამი თხიერი საბობის ეკონომია გასწია.

ჩვენ ამოცანად დავისახეთ თავის დროზე და გულდასმით მოვემზადოთ მოსავლის აღების კამპანიისათვის, კარგად მოვამზადოთ მანქანები, წინასწარ შევარჩიოთ მეშტურვალები, საწვავის, წყლისა და მარცვლის მზადავნი და ჩალის ამღები და დამზვინავი მუშაკები, გამოვყოთ კოლმეურნეობებში ცოცხალი გამწევი ძალა კომბაინების მომსახურებისათვის, კომბაინებისათვის გამოვყოთ საუკეთესო ტრაქტორები, რათა მათ ყვავლაზე უფრო გამოცდილი ტრაქტორისტები მართონ.

ჩვენ მიზნად დავისახეთ: არც ერთი მეტრი ზედმეტი სვლა, არც ერთი წუთი არასაჭირო გაჩერება. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან. მექანიკოსებთან და აგრონომებთან ერთად შევადგინეთ ყოველი კომბაინის აგრეგატის მოძრაობის ზუსტი გრაფიკი. მინდვრად გასვლის წინ კომბაინის აგრეგატების უფროსებმა მუშებს აუხსნეს, თუ რა და როგორ უნდა აკეთონ. კომბაინერებმა წინასწარ შეაფასეს ნათესის გამოყოფილი მასივები. კომბაინებს აქვთ მოწყობილობა სვლის დროს მარცვლის გადმოსაყრელად.

მარცვლის ნაყოფიერი მუშაობა, მოსავლის აღებაში წარმოუდგენელია, თუ არ იქნა რკინისებური, ნამდვილი სამხედრო შრომითი დისციპლინა. მას ჩვენ ყველა ღონისძიებით განვამტკიცებთ. კომბაინის აგრეგატის უფროსის განკარგულება სამხედრო ბრძანებაა და არავის არა აქვს უფლება არ აასრულოს ეს ბრძანება. ნორმა არ შეასრულე—მინდვრიდან არ წახვიდე—აი წესი ყველასათვის.

ჩვენი ზრუნვა იმისკენ არის მიმართული, რომ არ დავუშვათ დანაკარგები ძოსავლის აღებაში. ყველა კომბაინს გაკეთებული აქვს მარცვალსაჭერი. ბურს მხოლოდ დაბლა მოვაჭით. კომბაინების კვალდაკვალ გამოვლენ ცხენის ფოცხები, ხოლო იქ, სადაც ისინი არ არის, კოლმეურნე ქალები ხელით მოფოცავენ თავთავს.

მაშ ასე, ჩვენი ლოზუნგი — ვიმუშაოთ მოუცდენლად, ავიღოთ უდანაკარგოდ!

რაკი გვახსოვს, თუ რა ძვირფასია ყოველი კილოგრამი თხიერი საბობი ფრონტზე, ჩვენ ვიხმარეთ ყოველნაირი ღონისძიება, რომ მოსავლის აღება ჩავატაროთ საუკეთესო უმცირესი ხარჯვით: მკაცრი წესრიგი დავამყარეთ ჩვენს საბობის მეურნეობაში მოვაწყეთ ნავთსაცავები, შევიძინეთ საწვავით გასამართი ურიკები და ბევრი რამ გავაკეთეთ, რომ საწვავი არ გადავხარჯოთ.

მოცდენისა და დაზიანების თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ყოველი წამყვანი ფრთხილად იკიდებს თავის მანქანას, როგორც მებრძოლი იარაღს. ჩვენ შევადგინეთ ტექნიკური მოვლის გრაფიკი და ზუსტად შევასრულებთ მას. ყოველმა კომბაინერმა და ტრაქტორისტმა მოამზადა სათადარიგო დეტალებისა და ინსტრუმენტების ნაკრები. გარდა ამისა, ჩვენ ტექნიკურ დახმარებას გაგვიწევენ მოძრავი სარემონტო სახელოსნოები მექანიკოსების მეთაურობით.

ვასრულებთ რა ამხანაგ სტალინის მითითებებს სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ საერთო აღმოვლაბას და ყოველდღიურ დახმარებას გავუწევთ ახალგაზრდა მუშაობაში ნაკლებ გამოცდილ ამხანაგებს. ჩვენ ვასწავლით მათ მუშაობის საუკეთესო ხერხებს. დავეხმარეთ მათ მალე აითვისონ საქმე, რათა ისინიც გვეჯიბრებოდნენ ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში.

მადლიერი და სპატიოა ჩვენი ამოცანა. დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა ფრონტისა და სამშობლოს წინაშე.

ჩვენ მოვმართავთ თქვენ, ამხანაგო კომბაინერებო და ტრაქტორისტებო: **გამოდით სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1943 წლის სამხედრო მოსავლის აღების საუკეთესოდ ჩატარებისათვის!**

ჩვენ ვებრძვით შეჯიბრებაში და ვკისრულობთ შემდეგს ვალდებულებებს:

1. თავთავიან კულტურათა აღება დავამთავროთ 18–20 დღეში.

2. სეზონში თითოეულ კომბაინ „სტალინეცით“ ავიღოთ სულ მცირე 700, ხოლო კომბაინ „კომუნარით“ სულ მცირე 500 ჰექტარი, კომბაინით აღების ოსტატმა ი. პ. ვარაკინმა დადასწყვიტა ორი გადაბმული „სტალინეცით“ აიღოს 3.500 ჰექტარი, კომბაინერმა ნ. ს. პოლიაკოვამ იკისრა ორი გადაბმული „სტალინეცით“ აიღოს 3.600 ჰექტარი, კომბაინერებმა ძმებმა ვასილიევებმა დადასწყვიტეს ორი გადაბმული „სტალინეცით“ აიღონ 3.500 ჰექტარი, კომბაინით აღების ოსტატმა ე. ს. კირილოვმა იკისრა ორი გადაბმული „სტალინეცით“ აიღოს 2.500 ჰექტარი, კომბაინით მოსავლის აღების ოსტატმა დ. ა. გლადკიხმა დადასწყვიტა ორი გადაბმული „სტალინეცით“ აიღოს 3.000 ჰექტარი.

3. დავზოგოთ 10 პროცენტი ნავთპროდუქტები ნორმებით დადგენილთან შედარებით.

4. უზრუნველყოთ მანქანების მოვლა და სეზონის ბოლოს საფეხებით ვარგისი მივიტანოთ ისინი მტს-ების ეზოში.

5. ყოველმა გამოცდილმა კომბაინერმა მუშაობისას ასწავლოს 2–3 ახალგაზრდა კომბაინერს.

ამხანაგო კომბაინერებო—ქალებო და კაცებო, ტრაქტორისტებო—ქალებო და კაცებო! მიიღეთ ჩვენი გამოწვევა! ჩადექით სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა რიგებში. მივაღწიოთ კომბაინებით მოსავლის აღების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, დავეხმაროთ კოლმეურნეობებს მალე და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი.

ლენინის უძლეველი დროშით, წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის დიდი მხედართმთავრის—ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით—წინ, გამარჯვებისაკენ!

ალექსანდრე ოსკინი—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომბაინით აღების ოსტატი, **არქიპ ოსკინი**—კომბაინით აღების ოსტატი, **ი. ვასიკინი** და **ს. ასტიონოვი**—ბოლშევიტსკის მტს-ის კომბაინით აღების ოსტატები, **ი. კოშევოი** — კომბაინით აღების ოსტატი და **ფ. ვესიოლი**—სოლ-ილეცკის მტს-ის კომბაინერი, **ს. ფასადჩი**—კომბაინით აღების ოსტატი და **ფ. ოკუნევი**—პილიუგის მტს-ის კომბაინერი, **ფ. კირილოვი**—პოგრომის მტს-ის კომბაინით აღების ოსტატი, **კ. ლოკინი** — კიროვსკის მტს-ის კომბაინერი, **ა. დავიდოვი** და **ი. ინკევატოვი**—ბუგურუსლანის მტს-ის კომბაინერები, **ი. იაკიმენკო** — ბურტის მტს-ის კომბაინერი, **ა. ბესსონოვი**, **ი. ბუშაევი**, **ვ. ვასილიევი**, **ე. ფირიაევა**—კომბაინერები და **ა. ზინოვიევა**—კრასნოხოლმსკის მტს-ის ტრაქტორისტი, **პ. დოროდნინკოვი**—კომბაინერი და **ა. ვოლტენკო** — ჩესნოკოვის მტს-ის ტრაქტორისტი, **მ. ნიკიფოროვა**, **ი. ბოჩაროვა**, **ს. სეჩელნიკოვა**—კომბაინერები და **ა. ვასტავოჩკინა**—ლობაზის მტს-ის ტრაქტორისტი, **პ. კლიუშკინი**, **მ. დოლგატოვი**—კომბაინერები და **ი. მიშაკინი**—რომაშკის მტს-ის ტრაქტორისტი, **ნ. პოუტკოვსკი** — ვინდელის მტს-ის კომბაინერი, **გ. სტაროვოლ** — ადამოვსკის მტს-ის კომბაინერი, **ი. კონოვალოვი**, **მ. ჩერდინცევი**—კომბაინერები და **ა. ნაზინა**—შაკმარის მტს-ის ტრაქტორისტი, **ნ. კოლიაკოვა** — დინოიოვის მტს-ის კომბაინერი, **ა. როშკოვი**—ბურანოის მტს-ის კომბაინერი, **ა. ტროფიმოვი**—ჩორნო-ოსტროგის მტს-ის კომბაინერი, **ფ. გოლოვკოვი**—პლატოვის მტს-ის კომბაინერი, **პ. დიაკონოვი** და **ა. რაბოჩინი**—კალინინის მტს-ის კომბაინერები, **მ. სერგუნოვა**—ძერჟინსკის სახელობის მტს-ის კომბაინერი, **ვ. კოროსუნოვი**—ჩაპაევსკის მტს-ის კომბაინერი, **მ. გოლენდინცევა**—ოზერნოვის მტს-ის კომბაინერი, **კ. სიდოროვკო**—ნეფენსკის მტს-ის კომბაინერი, **პ. კრიცკი** — ორენბურგის მტს-ის კომბაინერი, **ა. ბოგდანოვი** და **ა. მოროზი**—ურალ-ილეცკის მტს-ის კომბაინერები, **ა. ტურბაბინი**—კარდაილოვის მტს-ის კომბაინერი, **ფ. კუზმინი**—ჩებენკოვის მტს-ის ტრაქტორისტი, **ზ. ოდინოვიჩენკო**—ავრილოვსკის მტს-ის ტრაქტორისტი.

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 27 ივლისი. როგორც რეუტერის სააგენტო გადმოგვცემს, თემთა პალატაში გამოვიდა ჩერჩილი, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

თემთა პალატამ კმაყოფილებით გაიგო ამ გამანადგურებელი ომის ერთ-ერთი მთავარი დამნაშავის დაცემის ამბავი. იტალიელ ხალხზე მუსოლინის ხანგრძლივი და სასტიკი ბატონობის დასასრული უეჭველად იტალიის ცხოვრებაში გარკვეული ეპოქის დასრულებას მომასწავებელია. ფაშისტური შენობის თაღის საყრდენი გაგრა და, წინასწარმეტყველება რომ არ დავიწყოთ, შეიძლება სავსებით მოსალოდნელად ჩავთვალოთ, რომ მთელი ფაშისტური შენობა მიწას დაენარცხება, თუ ეს უკვე მომხდარი არ არის.

ჩერჩილმა განაცხადა, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იტალიაში უაღრესად დიდი ცვლილებები მოხდებაო. ჯერჯერობით ძალიან ნაადრევია იმის წინასწარმეტყველება,—განაგრძო მან,—თუ რა ფორმას მიიღებენ ეს ცვლილებები, ან რა დარტყმას აგემებენ ისინი გერმანიის ოკუპაციის ძალებსა და გერმანიის კონტროლს. მუსოლინის ბიროტმოქმედება და სისულელე ძვირად დაუჯდა იტალიელ ხალხს.

1940 წლის მაისში თითქოს ასე არასახიფათო და ადვილი იყო წყაკეული საფრანგეთისათვის ზურგში მახვილის ჩაცემა და წინწაწევა იმისათვის, რათა ხელთაშუა ზღვაში მიესაკუთრებინათ ისეთი ვითომდა „დეკადენტური და ნგრევის გზაზე დამდგარი ქვეყნის“ სამფლობელოები და ინტერესები, როგორიც, როგორც უეჭველია გულწრფელად ფიქრობდა მუსოლინი, ინგლისი იყო. თითქოს მეტად არასახიფათო და ადვილი იყო თავდასხმა გაცილებით უფრო პატარა სახელმწიფოზე—საბერძნეთზე. მაგრამ მოხდა იმედის გაცრუება.

მე, სამწვა შემდეგ ჩერჩილმა, ეჭვს ვერ შევიტან იმაში, რომ იტალიელი ხალხის ძირითადი სურვილია განთავისუფლება გერმანელი ბატონებისაგან ისე, რომ თავიდან აიცილოს შემდგომი, ყოვლად უმიზნო დამღუპველი ომი ისე, რომ ადადგინოს ყოფილი დემოკრატიული და პარლამენტური ინსტიტუტები. ყოველივე ამის მოპოვება ეს შეუძლია. მან უნდა მოახდინოს არჩევანი. როგორი შეიძლება იყოს სხვა გამოსავალი?

გერმანელებს, ბუნებრივია, სურთ, რომ იტალია ბრძოლის ველად, ბრძოლის წინაველად გადაიქცეს. მათ სურთ, რომ, იტალიელების ტანჯვათა შედეგად, ომის დამანგრეველი მოქმედება სწარმოებდეს მაქსიმალურად ხანგრძლივი ვადით, რაც შეიძლება უფრო შორს გერმანიის ტერიტორიიდან.

თუ იტალიის მთავრობა და ხალხი გადასწყვეტენ, რომ გერმანელებთან ერთი გზით უნდა იარონ, ჩვენ გვეჭნება მხოლოდ ერთი გამოსავალი—ჩვენ განვაგრძობთ ომს იტალიის წინააღმდეგ ყოველი მხრიდან — ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, ზღვიდან, ჰაერიდან და დესანტების გადასხმით. ჩვენ შევეცდებით ომი იტალიის წინააღმდეგ კაფწარმოოთ რაც შეიძლება მეტი და მზარდი ძალით. ამის შესახებ უკვე მიცემული აქვთ ბრძანებები ბომბდამშენ ხელ[illegible]ელებს. რომელთაც ეს ეხებათ.

იტალიის მთავრობისა და ხალხის გადაწყვეტილება—განაგრძოს ომი გერმანელების უღელქვეშ—სერიოზულ გავლენას არ იქონიებს ომის საერთო მსვლელობაზე. იგი კიდევ უფრო ნაკლებად შესცვლის მის საბოლოო შედეგებს. ერთად-ერთი შედეგები ის იქნება, რომ მახლობელი რამდენიმე თვის განმავლობაში იტალია ცეცხლში იქნება გახვეული, იგი დასახიჩრებული და გადარეული იქნება კიდით-კიდემდე.

მე ბევრი არაფერი და თითქმის არაფერი ვიცი ახალი მთავრობის შესახებ. მე არ გამოვთქვამ ჩემს აზრს მის შესახებ. მაგრამ სავსებით ნათელია, რომ რამდენადაც ეს მის საკუთარ ხალხს ეხება, ამ მთავრობამ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს.

დღემდე, განაგრძო ჩერჩილმა, იტალიის მთავრობას ჩვენთვის არ მოუმართავს და ამიტომ ჩვენთვის საკერო არ არის ახალი გადაწყვეტილებებს მიღება. თუ მაგალითად ... ში არ მივიღებთ გადაწყვეტილებებს, რადგან ... ...